ხელშეკრულება №427/06

საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების გაფორმებასთან დაკავშრებული პროცედურების გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე

ქ. თბილისი 25 მაისი 2015 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება (შემდგომში „ხელშეკრულება“) დადებულია შპს „ჯორჯიან ექსპრესი“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) რომელიც წარმოდგენილია წესდების საფუძველზე მოქმედი დირექტორის, ეკატერინე არველაძის სახით, ერთის მხრივ და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავით ჩომახიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“), მეორეს მხრივ ვეყრდნობით რა თანასწორუფლებიანობის, კანონიერების, ნებაყოფლობითობისა და პარტნიორობის პრინციპებს, ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტემპუსის პროექტი „ჩაშენებული სისტემების კურსების განვითარება ინოვაციური ვირტუალური მიდგომების გამოყენების კვლევის, განათლებისა და ჭარმოების ინტეგრაციის მიზნით უკრაინა, სომხეთსა და საქართველოში“ –DESIRE 544091-TEMPUS-1-2013-1-BE-TEMPUS-JPCR (Development of Embedded System courses with implementation of Innovative virtual approaches for integration of Education, Research and Production in UA,GE,AM-DESire 20132) ხელშეკრულების №2013 4528/001-001 დაფინანსებით საფოსტო და საკურიერო მომსახურებების შესყიდვა (CPV 64100000).

1.2 „მიმწოდებელი“ კისრულობს ვალდებულებას „შემსყიდველის“ დავალებით, საკუთარი სახელითა და „მიმწოდებლის“ ხარჯზე (საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-37 მუხლის შესაბამისად) განახორციელოს „შემსყიდველი“ მიერ საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები შემოსატანი/გასატანი საქონლის/სატრანსპორტო საშუალებების საქონლის გაფორმების მიზნით აუცილებელი ნებისმიერი პროცედურა და საქონლის გაფორმების საქმეში შეასრულოს სხვა საშუამავლო ფუნქციები („მიმწოდებლის“ თანხმობით და „შემსყიდველის“ შესაძლებლობების გათვალისწინებით);

1.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია აუნაზღაუროს „შემსყიდველს“ ამ უკანასკნელის მიერ ხელშეკრულებების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები და გადაუხადოს მას მომსახურების საფასური.

1.4 ხელშეკრულების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 30.00 (ოცდაათი) ლარს.

მუხლი 2. მხარეთა უფლებები და მოვალეობები

2.1. ამ ხელშეკრულების პირობებისა და „შემსყიდველის“ უშუალო დავალების შესაბამისად „მიმწოდებელი“ უზრუნველყოფს:

2.1.2. საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურები და მისი კონტროლის მიზნებისათვის აუცილებელი პროცედურების განხორციელებას.

2.2. „შემსყიდველის“ ვალდებულია:

2.2.1. დროულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს“ ამ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯები და გადაუხადოს მას მომსახურების საფასური;

2.3. ინფორმაცია, რომელიც შეიცავს კომერციულ, საბანკო და კანონით დაცულ სხვა საიდუმლოებას არ შეიძლება გახმაურდეს. აკრძალულია მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გადაცემული ინფორმაციის გამოყენება საკუთარი მიზნებისათვის, აგრეთვე მისი გადაცემა მესამე პირისათვის (გარდა საგადასახადო ორგანოებისა), საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა.

მუხლი 3. ანგარიშსწორების წესი

3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით, საგრანტო პროექტის სახაზინო ანგარიშიდან, ეტაპობრივად, ყოველი კონკრეტული მოთხოვნის შესაბამისად.

3.2. წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პროცედურების განხორციელების ხარჯებისა და მომსახურების საფასურის ოდენობა განისაზღვრება დანართი №1–ის შესაბამისად. ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, შესაბამისი ანგარიშფაქტურის წარდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის განმავლობაში.

3.3. მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია ხელშეკრულებით დადგენილი პროცედურების განხორციელების ხარჯებისა და მომსახურების საფასურის ანაზღაურების განსხვავებული წესის, ოდენობისა და ვადების დადგენა.

მუხლი 4. ფორს-მაჟორი

4.1. მხარემ, რომელსაც დაუძლეველი ძალის, აგრეთვე მხარეთაგან დამოუკიდებელი სხვა გარემოებების მოქმედების გამო (ხანძარი, სტიქიური უბედურება, ომი, ნებისმიერი სახის საომარი მოქმედება, საგანგებო მდგომარეობა, ბლოკადა, ექსპორტ-იმპორტის ოპერაციების აკრძალვა ან შეზღუდვა, ხელისუფლების მიერ ისეთი სამართლებრივი აქტების გამოცემა და სხვა, რომლებიც შეუძლებელს ხდიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას) არ შეუძლია უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე მეორე მხარეს და ამ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარეს მოსთხოვოს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

მუხლი 5. განსაკუთრებული პირობები

5.1. მარწმუნებლის ან მარწმუნებლის დავალებით მესამე პირების მიერ შემსრულებლისათვის გადაცემული საბუთებისა და ინფორმაციის, ასევე წარმოდგენილი დოკუმენტებისა და საქონლისა და/ან სატრანსპორტო საშუალებების ურთიერთშესაბამისობის ნამდვილობის მტკიცებისა და პასუხისმგებლობის ტვირთი ეკისრება მარწმუნებელს.

5.2. მარწმუნებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული დავალება უნაკლოდ შესრულებულად ითვლება შემსრულებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის მარწმუნებლისათვის გადაცემისა და ამ უკანასკნელის მიერ მისი მიღების შემდგომ.

მუხლი 6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავების გადაჭრა

6.1. „მიმწოდებელი“ არ აგებს პასუხს (გარდა უშუალოდ შემსრულებლის მიზეზით გამოწვეული ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისა) „შემსყიდველის“ მიერ მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის საგადასახადო კანონმდებლობის

დარღვევის ჩადენაზე, აგრეთვე „შემსყიდველის“ ან „შემსყიდველის“ დავალებით მესამე პირების მიერ შემსრულებლისათვის გადაცემული საბუთებისა და ინფორმაციის (თუნდაც ზეპირსიტყვიერი) უზუსტობაზე ან სიყალბეზე.

6.2 ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების ან შეუსრულებლობისათვის მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

6.3. ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის წარმოშობილი დავები წყდება მოლაპარაკების გზით. მოლაპარაკების წარუმატებლობის შემთხვევაში, დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა, მოქმედება და მოქმედების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღეს და ძალაშია ერთი წლის ვადით

7.2. ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება ერთი, თუ მხარეები ხელშეკრულების დასრულებამდე ერთი თვით ადრე წერილობით არ აცნობებენ ერთმანეთს ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, იგივე წესი მოქმედებს ყოველი მომდევნო ვადის გასვლისას.

7.3 ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

8. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ი. ჭავჭავაძის გამზ. №1

რეკვიზიტები:
სახაზინო სამსახური
თსუ საკუთარი შემოსავლები
ს/კ 201954965

მიმწოდებელი:

შპს "ჯორჯიან ექსპრესი"
ს/კ 201954965

სს. „საქართველოს ბანკი"
ბანკის კოდი **BAGAGE 22**

ა/ა**GE70BG0000000391050200GEL**

<u>ადგილსამყოფელი:</u>
ქ. თბილისი, წერეთლის გამზ. 105
ტელ 69-60-60
ფაქსი 34-03-93

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

(დ. ჩომახიძე)

დირექტორი

(ე. არველაძე)

დანართი №1

მუხლი 1

წინამდებარე დანართით განისაზღვრება საქონლისა და/ან სატრასპორტო საშუალების გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურების თაობაზე გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ტარიფები:

1. საჰაერო გზავნილის დეკლარაციის სდ1-ის შევსება: ძირითადი გვერდი 50 ლარი, ყოველი, დამატებითი გვერდი 15 ლარი
2. საჰაერო გზავნილი-Airfreight-ის გზავნილის დეკლარაციის სდ1-ის შევსება-60 ლარი; ყოველი, დამატებითი გვერდი 15 ლარი
3. საავტომობილო გადაზიდვის გზავნილის დეკლარირება 75 ლარი. ყოველი, დამატებითი გვერდი 15 ლარი;

4. საქონლის გაფორმებასთან დაკავშირებული პროცედურების მომსახურების ღირებულება 20 ლარი ან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

5. ფორმა №4 შევსება 1000 ლარამდე ღირებ. ტვირთზე—20ლ; 3000 ლ-მდე—25; 5000 ლ-მდე---30ლ; 10000 ლ-მდე---40; 10 000 ლ-დან 50 ლ.

6. საკონსულტაციო მომსახურების ღირებულება განისაზღვრება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 2

2.1 წინამდებარე დანართი წარმოადგენს № ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

2.2 წინამდებარე დანართი ძალაშია ძირითადი ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში.

შემსყიდველი:
სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

(დ. ჩომახიძე)

მიმწოდებელი:

შპს "ჯორჯიან ექსპრესი"

დირექტორი

(ე. არველაძე)

ინფორმაცია ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

25 მაისი 2015 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ქვემოთ ჩამოთვლილი თითოეული პირი ხელის მოწერით ადასტურებს, რომ არ იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან შპს „ჯორჯიან ექსპრესი"

თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: /ლ. ჩოქთარიძე/

თსუ საფინანსო დეპარტამენტის უფროსი ი.საღარეიშვილი

თსუ იურიდიული დეპარტამენტის უფროსი ა. კუკულავა

თსუ შესყიდვების განყოფილების უფროსი ს. სანაძე

შესყიდვების მთ. სპეციალისტი ლ.კოპალეიშვილი